საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის

თანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი, 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდეგში - „სამინისტრო“, საიდენტიფიკაციო კოდი - 202 051 224), წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **თამარ სანიკიძის** სახით და მეორე მხრივ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდეგში - „ცესკო“, საიდენტიფიკაციო კოდი - 203 851 509), წარმოდგენილი ცესკოს თავმჯდომარის, **თამარ ჟვანიას** სახით და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდეგში - „სწავლების ცენტრი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 205 296 188), წარმოდგენილი სწავლების ცენტრის დირექტორის, **ნათია ზაალიშვილის** სახით, თანასწორუფლებიანობის, პატივისცემისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებით:

ა) ითვალისწინებენ რა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კულტურის განვითარების მნიშვნელობას;
ბ) იზიარებენ რა, არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის ხელშესაწყობად არჩევნების შესახებ სწავლებების/ტრენინგების აუცილებლობას;
გ) ხელმძღვანელობენ რა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, საარჩევნო მიმართულებით გენდერული თანასწორობისა და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებით;
დ) აღიარებენ რა, თითოეული მოქალაქის მონაწილეობის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში,

გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი
მემორანდუმი მიზანად ისახავს ხელი შეეწყოს საჯარო სკოლების (შემდეგში - „სკოლა“) საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) მოსწავლეთა: სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას დემოკრატიული არჩევნების, არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებას.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი
მემორანდუმის საგანია, მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის თანასწორობისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობით, სკოლის საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) მოსწავლეებისათვის საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ (შემდეგში - „სასწავლო კურსი“) განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები
3.1 **ცესკო და სწავლების ცენტრი:**
3.1.1 უზრუნველყოფს სასწავლო კურსის პროგრამის და შესაბამისი სასწავლო რესურსის შემუშავებასა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამინისტროსთან მათ შეთანხმებას. საჭიროებისამებრ ავთენტურ თარგმნას არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის;

3.1.2 უზრუნველყოფს ტრენერების მომზადებას სკოლებში სასწავლო კურსის განსახორციელებლად;

3.1.3 უზრუნველყოფს სასწავლო კურსის განხორციელებას წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში, სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის (თარიღი, დრო) შესაბამისად;

3.1.4 უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მსმენელ საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) მოსწავლეებს და ტრენერებს აუცილებელი სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

3.1.5 ახორციელებს წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში სასწავლო კურსის მიმდინარეობის მონიტორინგს;

3.1.6 უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიმდინარეობისას წარმოშობილი საკითხების სამინისტროს რეკომენდაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობაში მოყვანას;

3.1.7 წარუდგენს სამინისტროს წინადადებებს იმ სკოლების (ნუსხის) შესახებ, რომელშიც მიზანშეწონილად მიიჩნევს სასწავლო კურსის განხორციელებას.

3.2 **სამინისტრო:**

3.2.1 ითანხმებს ცესკოს მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის პროგრამასა და შესაბამის სასწავლო რესურსს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

3.2.2 ცესკოს წარდგინებით განსაზღვრავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სკოლებს (ნუსხას) და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას სასწავლო კურსის განხორციელების (გრაფიკი, თარიღი, დრო) შესახებ;

3.2.3 ითანხმებს ცესკოს მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის განხორციელების გრაფიკს (თარიღი, დრო) შესაბამისი სკოლების ინტერესების გათვალისწინებით;

3.2.4 ხელს უწყობს ცესკოს სასწავლო კურსის წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში ჩატარებას;

3.2.5 შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს სასწავლო კურსის მიმდინარეობისას წარმოშობილ საკითხებზე.

მუხლი 4. მემორანდუმის სხვა პირობები

4.1 ცალკეული ღონისძიებები და სხვა სახის ერთობლივი აქტივობები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ მემორანდუმით დასახული მიზნებიდან, რეგულირდება მხარეთა შორის მოლაპარაკებებით.

4.2 მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.

4.3 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 30 კალენდარული დღით ადრე სხვა მხარეთათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.4 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

4.5 მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
მ ი ნ ი ს ტ რ ი	**თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე**	**დ ი რ ე ქ ტ ო რ ი**
თამარ სანიკიძე	თამარ ჟვანია	ნათია ზაალიშვილი
თბილისი, დ. უზნაძის N52	*თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.*	*თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.*